

# ICOMOS წესდება

## პრეამბულა

### I სახელწოდება და შტაბ-ბინა

მუხლი 1. სახელწოდება

მუხლი 2. შტაბ-ბინა

### II მიზნები და საქმიანობა

მუხლი 3. მიზნები

მუხლი 4. საქმიანობა და ქმედებები

### III წევრები

მუხლი 5. წევრობისკატეგორიები

მუხლი 6. წევრებისუფლებები და მოვალეობები

მუხლი 7. სანქციები და წევრობისდაკარგვა

### IV ადმინისტრირება და ოპერირება

მუხლი 8. წესდებითგათვალისწინებული მმართველობითი ორგანოები

მუხლი 9. გენერალურიასამბლეა

მუხლი 10. გამგეობა

მუხლი 11. გამგენობისბიურო

მუხლი 12. მრჩეველთაკომიტეტი და მისისამეცნიეროსაბჭო

მუხლი 13. ეროვნულიკომიტეტები

მუხლი 14. საერთაშორისოსამეცნიეროკომიტეტები

მუხლი 15. მოხალისეობრივი თანამდებობები

მუხლი 16. საერთაშორისოსამდივნო

მუხლი 17. დამკვირვებლები

### V რესურსები

მუხლი 18. წლიურირესურსები

მუხლი 19. ანგარიშსწორება

### VI გარდამავალი დებულებები

მუხლი 20. ლეგალურისტატუსი

მუხლი 21. ენები

მუხლი 22. პროცედურული წესები

### VII წესდების ცვლილები და ლიკვიდაცია

მუხლი 23. წესდებისცვლილება

მუხლი 24. ლიკვიდაცია

### VIII ძალაშიშესვლა

მუხლი 25. ძალაშიშესვლა

## პრეამბულა

1965 წელს დაფუძნებული, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭო, ICOMOS, არის საერთაშორისო არა-სამთავრობო ორგანიზაცია, დაფუძნებული საფრანგეთის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად (კანონი ასოცირების კონტრაქტთან დაკავშირებით 1901 წლის 1 ივლისი).

ICOMOS არის გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული წევრი.

ICOMOS ეთიკის პრინციპები ავსებს წინამდებარე წესდებას და ICOMOS პროცედურულ ნორმებს და მათთან კავშირში უნდა იქნას აღსრულებული ყველა ტერმინი, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე წესდებაში პასუხისმგებელი პირების აღსანიშნავად უნდა ინტერპრეტირებული იქნას იმგვარად, რომ იგულისხმება ქალებისა და კაცების თანასწორობა ამ პასუხისმგებლობის განხორციელებისას.

## I სახელწოდება და შტაბ-ბინა

### მუხლი 1. სახელწოდება

ასოციაცია დაფუძნდა 1965 წელს განუსაზღვრელი ვადით, სახელწოდებით ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭო, შემდგომ აღნიშნული ინიციალებით ICOMOS. სახელწოდება და ინიციალები ურთიერთშენაცვლებადია; მათი გამოყენება ექსკლუზიურად შეზღუდულია იმფუნქციებისთვის, რომელიც უფლებამოსილია ICOMOS და მისი წევრების მიერ და სრულდება მათი სახელით.

### მუხლი 2. შტაბ-ბინა

ICOMOS შტაბ-ბინა მდებარეობს შარენტონ-ლე-პონში [Charenton-le-Pont], პარიზის რეგიონში, საფრანგეთში. იგი შეიძლება გადატანილ იქნას გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით.

## II მიზნები და საქმიანობა

### მუხლი 3. მიზნები

ICOMOS იქნება საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც ეხება საერთაშორისო დონეზე კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის, როგორც ქვემოთაა განმარტებული, მატერიალური და არა-მატერიალური ასპექტების განვითარება.

- a. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია: ზოგადი ტერმინი, რომელიც მოიცავს ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნაობათა დაცვას, კონსერვაციას და მენეჯმენტს.

- b. ძეგლი: ნაგებობა თავისი გარემოთი, შემადგენლობით და აღჭურვილობით, რომელსაც გააჩნია ისტორიული, არქიტექტურული, არქეოლოგიური, მხატვრული, ესთეტიკური, სამეცნიერო, სოციალური, ეთნოლოგიური, ანთროპოლოგიური, კულტურული ან სულიერი ფასეულობა. ეს განსაზღვრება მოიცავს მონუმენტური ქანდაკებისა ან მხატვრობის ნაწარმოებებს, არქეოლოგიურ ელემენტებსა და ნაგებობებს, წარწერებს, გამოქვებულებს და ამგვარ ნიშანთა ერთობლიობას.
- c. შენობათა ჯგუფი: ცალკე მდგომ ან გაერთიანებულ ნაგებობათა ჯგუფი და მათი გარემომცველი მიდამო, ნაშენი ან ბუნებრივი, რომელსაც მათი არქიტექტურის, გეგმარების, ერთგვაროვნების ან ლანდშაფტში ადგილმდებარეობის გამო, გააჩნია ისტორიული, არქეოლოგიური, მხატვრული, ესთეტიკური, სამეცნიერო, სოციალური, ეთნოლოგიური, ანთროპოლოგიური, კულტურული ან სულიერი ფასეულობა.
- d. ღირსშესანიშნაობა: ტოპოგრაფიული არეალები და ლანდშაფტები, ადამიანის ან ბუნების შენაქმნი, ან კაცისა და ბუნების ერთობლივი ქმნილება, ისტორიული პარკებისა და ბაღები სხათვლით, რომელსაც გააჩნია ისტორიული, არქიტექტურული, არქეოლოგიური, მხატვრული, ესთეტიკური, სამეცნიერო, სოციალური, ეთნოლოგიური, ანთროპოლოგიური, კულტურული ან სულიერი ღირებულება.
- e. დაცვა, კონსერვაცია და მენეჯმენტი: ყველაქმედება, რომელიც მიემართება ძეგლებს, შენობათა ჯგუფებს და ღირსშესანიშნაობებს, მათ მატერიალური და არა-მატერიალურ ასპექტებს, განსაკუთრებით, მათი შესწავლა, აღნუსხვა, შენარჩუნება, დაცვა, კონსერვაცია, რესტავრაცია, განახლება-მოწესრიგება, გამოყენება, გაუმჯობესება, მენეჯმენტი და ინტერპრეტაცია, ასევე ტრადიციული სამშენებლო ტექნიკის შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება.

#### **მუხლი 4.საკმეიანობა და ქმედებები**

ამ მიზნის მისაღწევად, ICOMOS:

- a. ქმნის ფორუმს დისკუსიისა და გააზრებისთვის, აეერთიანებს რა საჯარო ხელისუფლებას, ინსტიტუციებს, პროფესიონალებს და ნებისმიერ ინდივიდს, რომელიც დაინტერესებულია ასოციაციის მიზნებით და უზრუნველყოფს მათ წრმომადგენლობას საერთაშორისო ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებთან;
- b. აგროვებს, სწავლობს და ავრცელებს ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის პრინციპების, ტექნიკისა და პოლიტიკის შესახებ;

- c. თანამშრომლობსეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ცენტრების შექმნისა და განვითარებისთვის;
- d. ხელსუწყოებს საერთაშორისო კონვენციების, რეკომენდაციების, კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებული სხვა სტანდარტული დოკუმენტების მიღებასა და განხორციელებას;
- e. თანამშრომლობსკულტურული მემკვიდრეობისკონსერვაციის სასწავლო პროგრამების მომზადებაში;
- f. იძლევა ინსტიტუციონალურ რჩევებს;
- g. მართავს ტექნიკური დახმარების პროექტებს;
- h. ქმნის და ანვითარებს მჭიდრო თანამშრომლობას UNESCO-თან, კულტურის ობიექტთა შენარჩუნებისა და რესტავრაციის კვლევისსაერთაშორისო ცენტრთან (ICCROM, Rome), UNESCO სპონსორობით არსებულ რეგიონალურ ცენტრებთან და სხვა საერთაშორისო ან რეგიონალურ ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებთან, რომელთაც მსგავსი მიზნები გააჩნია;
- i. იძლევა რჩევებს და ხელსუწყოებს UNESCO მიერ 1972 წელს მიღებული მსოფლიო კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ან “მსოფლიომემკვიდრეობისკონვენციის” განხორციელებას;
- j. ხელსუწყოებს და ბიძგს აძლევს სხვა აქტივობებს, რომელიც მისწესდება შეესაბამება.

### III წევრობა

#### მუხლი 5. წევრობის კატეგორიები

- a. ICOMOS ექნება წევრობის 4 კატეგორია: ინდივიდუალური წევრები, ინსტიტუციონალური წევრები, ასოცირებული/აფილირებული და საპატიოწევრები.  
ინდივიდუალური წევრები წევრთა უმრავლესობას ქმნიან.
1. ინდივიდუალური წევრობა გახსნილია ინდივიდებისთვის, კომპეტენციით ერთ ან მეტ სფეროში, რომელიც დაკავშირებულია ასოციაციის მიზნებთან, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლში 3 და სტუდენტებისთვის, რომელთაც არჩეული აქვთ დისციპლინა რომელიმე ამ სფეროში.
  2. ინსტიტუციონალური წევრობა გახსნილია ნებისმიერი ინსტიტუციისა და ორგანიზაციისთვის, კომპეტენციით ერთ ან მეტ სფეროში, რომელიც დაკავშირებულია ასოციაციის მიზნებთან, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლში 3 და მათთვის, ვინც ფლობს ან მეურვეობს ძეგლებს, შენობათა ჯგუფებს ან ღირსშესანიშნაობებს.

3. ასოცირებული/აფილირებული კატეგორია გახსნილია ინდივიდების, ინსტიტუციებისა და ორგანიზაციებისთვის, ვინც დაინტერესებულნი არიან კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციით და სურთ მხარდაჭერა აღმოუჩინონ ასოციაციის მიზნებსა და საქმიანობას, რაც განსაზღვრულია მუხლებში 3 და 4.
  4. საპატიო წევრობა მინიჭებულ იქნება გენერალური ასამბლეის მიერ, ეროვნული ან საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის თხოვნით, ინდივიდებისთვის, ვინც არიან ან არ არიან ICOMOS წევრები და გამორჩეული სამსახური გაუწიეს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას საერთაშორისო დონეზე.
- b. ყველა კანდიდატი ICOMOS ინდივიდუალური, ინსტიტუციონალური და ასოცირებული/აფილირებული წევრობისა წარადგენს კანდიდატურას მუხლის 13-ხ შესაბამისად და წარმოაჩენს დაინტერესებას ასოციაციის მიზნებითა და საქმიანობით, რაც განსაზღვრულია მუხლებში 3 და 4. ინდივიდუალური წევრობის კანდიდატებმა, ახალგაზრდა პროფესიონალთა და სტუდენტთა ჩათვლით, უნდა დამატებით წარადგინონ საკუთარი რეზიუმე, სადაც ნაჩვენებია იქნება მათი საქმიანობა ერთ ან მეტ სფეროში, რომელიც დაკავშირებულია ასოციაციის მიზნებთან, რაც განსაზღვრულია მუხლში 3.

კანდიდატურების წარდგენის პროცესი დეტალიზებულია ეროვნული კომიტეტების მიერ და შეიძლება მოიცავდეს ნომინირების პროცესს, ერთი ან მეტი სპონსორით.

## მუხლი 6. წევრების უფლებები და მოვალეობები

- a. წევრები იღებენ ვალდებულებას, დაემორჩილონ ICOMOS ეთიკის პრინციპებს, გენერალური ასამბლეისა და გამგეობის გადაწყვეტილებებს.
- b. წევრები გადაიხდიან წლიურ საწევრო გადასახადს, რომელიც ყოველ წელს განსაზღვრული იქნება წევრობის ყოველი კატეგორიისთვის გენერალური ასამბლეის მიერ. ინდივიდუალურ წევრებს 30 წლამდე ნაკლები ასაკისა ექნებათ შემცირებული საწევრო გადასახადი. საპატიო წევრები არ დაექვემდებარებიან საწევრო გადასახადებს. ეროვნული კომიტეტები შეაგროვებენ წლიურ საწევრო გადასახადს. მათ შეუძლიათ დაუწესონ უფრო მაღალი საწევრო გადასახადი საკუთარ

წევრებს და ნაწილი საკუთარი ოპერირებისთვის დაიტოვონ. ეროვნული კომიტეტები საჭირო ნაბიჯებს გადადგამენ, რათა სწრაფად გადაურიცხონ შეგროვებული საწევრო გადასახადი საერთაშორისო სამდივნოს.

როდესაც შეგროვებული საწევრო გადასახადის ორი მესამედი არ იქნება მიღებული 1 მაისისთვის, საერთაშორისო სამდივნო შეტყობინებას გაუგზავნის შესაბამის ეროვნულ კომიტეტს და მის წევრებს; ეროვნული კომიტეტის ვითარებას განიხილავს სამდივნო მუხლის 10-d-5 შესაბამისად. ეროვნული კომიტეტის არ-არსებობის შემთხვევაში, წევრები საწევრო გადასახადს პირდაპირ საერთაშორისო სამდივნოს გადაუხდიან ან, ტრანსნაციონალური კომიტეტების შემთხვევაში, წინასწარ დადებული შეთანხმების შესაბამისად.

წევრები, რომელნიც იხდიან უფრო მაღალ საწევრო გადასახადს, ვიდრე ეს დადგენილია მათი წევრობის კატეგორიისთვის გენერალური ასამბლეის მიერ, უფლება აქვთ, კეთილისმყოფელ [benefactor] წევრებად იწოდებოდნენ.

- c. ყოველი წევრი მიიღებს წევრობის ბარათს და პერიოდულ პუბლიკაციებს.
- d. ყოველ წევრს ექნება უფლება, დაესწროს გენერალურ ასამბლეას და შეიძლება დასახელებულ იქნას ხმის მიმცემ წევრად გენერალურ ასამბლეაზე, მუხლებში 9-a და 13-d-4 განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- e. მხოლოდ ინდივიდუალურ წევრებს ექნებათ უფლება სამსახურისა ICOMOS-ში.

## **მუხლი 7. სანქციები და წევრობის დაკარგვა**

- a. წევრების მიერ ICOMOS წესდებებსა და ეთიკის პრინციპებში განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა განიხილება შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების ან ბიუროს მიერ და შეიძლება შედეგად სანქციები გამოიწვიოს. ეროვნული კომიტეტის არ-არსებობის შემთხვევაში, ან საერთაშორისო დონეზე ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განიხილვას აწარმოებს ბიურო.

სანქციები, რომელიც შეიძლება დაკისრებულ იქნას:

1. შენიშვნა,
2. წევრობის შეჩერება გარკვეული დროით,
3. ICOMOS წევრობის დაკარგვა,

შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტები და ბიურო განიხილავს, როდისაა გათვალისწინებული სანქცია.

მხოლოდ ეროვნულ კომიტეტებსა და ბიუროს შეუძლიათ სანქციების დაკისრება; საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტები განხილვის შედეგებს გადასცემს შესაბამის ეროვნულ კომიტეტს ან, მისი არ-არსებობის შემთხვევაში, ბიუროს შემდგომი სათანადო ქმედებისთვის.

b. ICOMOS წევრი აღარ იქნება წევრი:

1. თუ საწევრო გადასახადი არ იქნება გადახდილი მიმდინარე წლის 1 მაისისთვის;
  2. გადადგომის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რომელიც გაეგზავნება ეროვნულ კომიტეტს ან, მისი არ-არსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო სამდივნოს, მიმდინარე წლის საწევრო გადასახადის გადახდის შემდეგ;
  3. გარდაცვალების შემთხვევაში;
  4. ორგანიზაციის ან ინსტიტუციის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
  5. ეროვნული კომიტეტის ან ბიუროს მიერ რეესტრიდან ამოღების შემთხვევაში, მუხლის 7-a მიყენებით ან სხვა რაიმე სერიოზული საქმის გამო.
- c. სანქციის დაკისრებამდე და რეესტრიდან ამოღებამდე სერიოზული საქმის გამო, მუხლების 7-a და 7-b მიყენებით, შესაბამისი წევრი იქნება ინფორმირებული ბრალდების შესახებ და გამოძახებულ იქნება ახსნა-განმარტების მისაცემად.
- სანქციის ან რეესტრიდან ამოღების შემთხვევაში, შესაბამისმა წევრმა შეიძლება მიმართოს გამგეობას. მიმართვა შეაჩერებს გადაწყვეტილებას გამგეობის გადაწყვეტილება საბოლოოა.
- d. მთელი პროცედურა, დაკავშირებული სანქციებთან და წევრობის დაკარგვასთან, მუხლების 7-a და 7-b მიყენებით იქნება კონფიდენციალური, ისევე როგორც შენიშვნის დაკისრება; ყველა სხვა სანქცია საჯარო გახდება.
  - e. წევრობის შეჩერების შემთხვევაში, მუხლის 7-a მიყენებით, შესაბამის წევრს არ ექნება წევრობის უფლებები წევრობის შეჩერების პერიოდის მანძილზე.
  - f. პირი, ინსტიტუცია ან ორგანიზაცია, რომელიც ამოღებულ იქნება რეესტრიდან საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო, განაახლებს წევრობას, როდესაც წლიური გადასახადი მიღებულ იქნება.

#### IV ადმინისტრირება და ოპერირება

##### მუხლი 8. წესდებით გათვალისწინებული ორგანოები

ICOMOS წესდებით გათვალისწინებული ორგანოებია:

- გენერალური ასამბლეა,

- გამგეობა და მისი ბიურო,
- მრჩეველთა კომიტეტი და მისი სამეცნიერო საბჭო,
- ეროვნული კომიტეტები,
- საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტები,
- საერთაშორისო სამდივნო.

## მუხლი 9. გენერალური ასამბლეა

- a. გენერალური ასამბლეა იქნება ICOMOS უზენაესი ორგანო. ყველა ICOMOS წევრს ექნება დასწრების უფლება; მხოლოდ ხმის მიმცემ წევრებს, რომლებიც დანიშნულნი არიან შემდეგი პრინციპების საზღვრებში და მიხედვით, შეუძლიათ ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლების გამოყენება:
1. ყოველ ეროვნულ კომიტეტს ან, მისი არ-არსებობის შემთხვევაში, ყოველ ქვეყანას, რომელთა საწევრო გადასახადები მიღებულია, ექნება შემდეგნაირად განსაზღვრული ხმათა რაოდენობა:
    - კატეგორია 1 = 5 ხმა: ეროვნული კომიტეტები 20-ზე ნაკლები წევრით და ქვეყნები, სადაც ეროვნული კომიტეტი არ არსებობს;
    - კატეგორია 2 = 10 ხმა: ეროვნული კომიტეტები 20-დან 49 წევრამდე;
    - კატეგორია 3 = 15 ხმა: ეროვნული კომიტეტები 50-დან 99 წევრამდე;
    - კატეგორია 4 = 20 ხმა: ეროვნული კომიტეტები 100 და მეტი წევრით.
  2. ხმების რაოდენობა განისაზღვრება წევრთა რაოდენობის საფუძველზე, რომელთა საწევრო გადასახადი მიღებულია წინა წლის 31 დეკემბრისთვის.
 

ეროვნული კომიტეტები და წევრები იმ ქვეყნებში, სადაც კომიტეტები არ არსებობს, შეტყობინებულ იქნებიან ხმების განსაზღვრული რაოდენობის შესახებ საერთაშორისო სამდივნოს მიერ 31 იანვრისთვის.
  3. გენერალურ ასამბლეაზე ხმის მიმცემი წევრები დანიშნულ იქნებიან ეროვნული კომიტეტის მიერ ამ მუხლის და მუხლის 13-d-4 შესაბამისად, ეროვნული კომიტეტის არ-არსებობის შემთხვევაში, ბიუროს მიერ. ბიუროს შეუძლია ამ პასუხისმგებლობის დელეგირება დამოუკიდებელი *ad hoc* კომიტეტისთვის.
  4. სათანადოდ ნომინირებულ ხმის მიმცემ წევრებს შეუძლიათ გადასცენ მინდობილობა საკუთარი ეროვნული კომიტეტის სხვა, ხმის მიმცემ წევრს ან, ეროვნული კომიტეტის არ-არსებობის შემთხვევაში, მათი ქვეყნის სხვა წევრს. არც ერთ წევრს ექნება 4 მინდობილობით გადაცემულ ხმაზე მეტი, საკუთარი ხმის გარდა.
- b. ICOMOS გენერალური ასამბლეა შეიკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც, წლიური ანგარიშსწორების და ბიუჯეტის დასამტკიცებლად; ყოველ მესამე წელს ის აირჩევს გამგეობის წევრებს.



გენერალური ასამბლეა შეიძლება ასევე მოწვეულ იქნას გამგეობის წევრთა უმრავლესობის ან ეროვნული კომიტეტების მესამედის თხოვნით, თითოეული წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ხმის მიმცემი წევრით მაინც, რომელნიც დანიშნულნი არიან მუხლებში 9-a და 13-d-4 განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

შეტყობინება გენერალური ასამბლეის შესახებ გაგზავნილ იქნება საფოსტო ან ელექტრონული საშუალებებით გენერალური ასამბლეის შეკრებამდე სულ ცოტა 2 თვით ადრე და მას დართული იქნება გენერალური ასამბლეის დღის წესრიგი.

მხოლოდ საგანგებო გენერალური ასამბლეა, რომელიც ორგანიზებული იქნება მუხლებში 23 და 24 გაწერილი წესის მიხედვით, უფლებამოსილია შეცვალოს წესდება ან მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის თაობაზე.

ყოველი შეკრებისთვის, გენერალური ასამბლეა აირჩევს საკუთარ პრეზიდენტს, 3 ვიცე-პრეზიდენტს და მომხსენებელს, რომელთა სამსახურის ვადა განისაზღვრება შეკრების ხანგრძლივობით.

- c. თუკი წევრებაში სხვაგვარად განსაზღვრული არ არის, გადაწყვეტილებები მიღებულ იქნება ხმის მიმცემ წევრთა, დამსწრეთა და წარმოდგენილთა, უმრავლესობით, იმ პირობით, რომ ისინი ეროვნული კომიტეტების მესამედს მაინც ფარავს.
- d. გენერალური ასამბლეა ზედამხედველობას გაუწევს ასოციაციის მიზნების განხორციელებას და გამოთქვამს მოსაზრებებს დღის წესრიგის საკითხებზე. სხვათა გარდა, იგი:
  1. მიიღებს ICOMOS პრეზიდენტის და ხაზინადარის ანგარიშებს გამგეობის მიერ აღსრულებული მართვის და ასოციაციის კეთილდღეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
  2. თუ ჩათვლის შესაფერისად, დაამტკიცებს წლიურ ანგარიშს და დაამტკიცებს ან ცვლილებებს შეიტანს ანგარიშსწორებაში, რომელიც წინსწარ დაურიგდება წევრებს და გაანთავისუფლებს გამგეობასა და ხაზინადარს ვალდებულებებისგან;
  3. კენჭს უყრის მომდევნო წლის ბიუჯეტს;
  4. მიიღებს და ცვლილებებს შეიტანს ICOMOS პროცედურულ წესებში;
  5. ყოველ მესამე წელს კენჭს უყრის ICOMOS გენერალურ პროგრამას და ბიუჯეტის სახელმძღვანელო პრინციპებს შემდეგი სამწლელისთვის, წევრთა და კეთილისმყოფელ წევრთა საწევრო გადასახადების სახელმძღვანელო პრინციპების ჩათვლით;
  6. ყოველ მესამე წელს წარადგენს აუდიტორს სამწლიანი, ერთხელ განახლებადი მანდატით, გამგეობის თხოვნის საფუძველზე;

7. ყოველ მესამე წელს იღებს საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის რეკომენდაციებს, ამტკიცებს დოქტრინალურ შესაბამის დოკუმენტებს და ყოველ მეექვსე წელს იღებს ანგარიშს ICOMOS ეთიკის პრინციპების თაობაზე;
  8. ყოველ მესამე წელს ანიჭებს საპატიო წევრობას, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების თხოვნით;
  9. ყოველ მესამე წელს ირჩევს გამგეობის 20 წევრს, ფარული კენჭისყრით, ორჯერ განახლებადი 3 წლიანი ვადით. გამგეობის წევრები იქნებიან ინდივიდუალური წევრები, რომელთაც ირჩევენ მათი კომპეტენციის შესაბამისად, რათა წარმართონ ორგანიზაცია და უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა სპეციალობისა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის შეძლებისდაგვარი წარმომადგენლობა. გამგეობის წევრი, რომელმაც იმსახურა სამი თამნინდევრული ვადით, არ შეიძლება ხელახლა იქნას არჩეული მინიმალური სამწლიანი ვდის ამოწურვამდე. სამსახურის/თანამდებობის უგრძელესი უწყვეტი პერიოდი, ნებადართული გამგეობის წევრისთვის, არჩეულისთვის ან *ex officio*, შეადგენს 9 წელიწადს. არც ერთი ქვეყანა არ იქნება წარმოდგენილი გამგეობაში 1 წევრზე მეტით, მრჩეველთა კომიტეტის პრეზიდენტის გამოკლებით. არც ერთი წევრი არ იმსახურებს ერთდროულად 2 თანამდებობაზე მეტზე ICOMOS-ში. ეს დებულება შეეხება ყველა არჩევით თანამდებობას ICOMOS წესდებით გათვალისწინებულ ორგანოებში.
  10. ყოველ მესამე წელს ირჩევს, ფარული კენჭისყრით, პრეზიდენტს, ხაზინადარს, გენერალურ მდივანს და 5 ვიცე-პრეზიდენტს სამ-წლიანი ვადით, გამგეობის წევრებიდან. ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები წარდგენილნი იქნებიან მათი შესაბამისი რეგიონის მიერ. თუკი ადგილი განთავისუფლდა, გენერალური ასამბლეა, თავის მომდევნო შეხვედრაზე აირჩევს შემცვლელს სამსახურის ვადის დასაბალანსებლად.
- e. წარმოებულ იქნება გენერალური ასამბლეის შეხვედრათა ოქმები. ოქმებს ხელს მოაწერს მისი პრეზიდენტი და მისი გენერალური მდივანი და ისინი ხელმისაწვდომი იქნება წევრებისთვის.

## მუხლი 10. გამგეობა

- a. გამგეობა იქნება ICOMOS მმართველი ორგანო და ანგარიშვალდებული იქნება გენერალური ასამბლეის წინაშე. მის შემადგენლობაში იქნება მაქსიმუმ 21 წევრი, სახელდობრ, 20 წევრი არჩეული გენერალური ასამბლეის მიერ და მრჩეველთა კომიტეტის პრეზიდენტი. კულტურის ობიექტის შენარჩუნებისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICCROM) წარმომადგენელი, მრჩეველთა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და

საერთაშორისო სამდივნოს გენერალური მდივანი დაესწრებიან გამგეობის შეხვედრებს, როგორც ხმის არ-მქონე მრჩეველები.

ექსპერტები შეიძლება მოწვეულ იყვნენ გამგეობის მიერ, გამგეობისა და მისი ბიუროს შეხვედრებზე დასასწრებად, როგორც ხმის არ-მქონე მრჩეველები, დღის წესრიგის შესაბამისად.

- b. გამგეობა მოწვეულ იქნება პრეზიდენტის მიერ ექვს თვეში ერთხელ მაინც, გამგეობის წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნით.
- c. გამგეობის უფლებამოსილი შეხვედრები მოითხოვს ქვორუმს მისი წევრების ერთი მესამედისა მაინც. გადაწყვეტილებები მიღებულ იქნება დამსწრე და წარმოდგენილ წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, პრეზიდენტს გააჩნია ხმის უპირატესობა. თითოეულ წევრს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ 1 მინდობილობა.
- d. გამგეობა იმოქმედებს გენერალური ასამბლეის სახელით, მის შეხვედრებს შორის და გამოთქვამს მოსაზრებებს ICOMOS მენეჯმენტის ყველა საკითხზე. გამგეობის წევრებმა უნდა დაიცვან ასოციაციის საზოგადო ინტერესი და არ უნდა წარმოადგენდნენ საკუთარ ეროვნულ ან საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებს.

სხვათა გარდა, გამგეობა:

- 1. უზრუნველყოფს ICOMOS მიზნის შესრულებას, მისი ოპერირების დამორჩილებას კანონმდებლობასთან, რომელიც მიეყენება ასოციაციებს, მისი კარგი რეპუტაციისა და მისი სახელისა და ლოგოს გამოყენების დაცვას;
- 2. უზრუნველყოფს ICOMOS გენერალური პროგრამის და სამწლედისთვის ბიუჯეტის სახელმძღვანელო პრინციპების, ასევე გენერალური ასამბლეის მიერ ხმა-მიცემული წლიური ბიუჯეტის განხორციელებას;
- 3. უფლებამოსილია, ICOMOS სახელით, მიიღოს, ისესხოს, ფლობდეს და გამოიყენოს ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად აუცილებელი ფონდები, ასევე მიიღოს საჩუქრები; თუმცა, გადაწყვეტილება ფონდების სესხების თაობაზე უნდა დამტკიცებულ იყოს გენერალური ასამბლეის მიერ;
- 4. წარადგენს საერთაშორისო სამდივნოს გენერალურ დირექტორს ბიუროს თხოვნის საფუძველზე;
- 5. უფლებამოსილებას აძლევს ეროვნული კომიტეტის დაფუძნებას, როგორც განსაზღვრულია მუხლში 13-a და დაადგენს, რომ მისი წესდება და მოქმედება შეესაბამება ICOMOS წესდებას, პროცედურულ წესებს და ეთიკის პრინციპებს. გამგეობას შეუძლია გამოითხოვოს ეროვნული კომიტეტის აკრედიტაცია, რომლის ორგანიზაცია ან საქმიანობა არ არის შესაბამისობაში, კერძოდ, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო, მათგან ახსნა-განმარტების წარდგენის მოთხოვნის შემდეგ. მას შეუძლია

- დაამტკიცოს ტრანსნაციონალური კომიტეტების შექმნა, როგორც განსაზღვრულია მუხლში 13-ე;
6. აფუძნებს საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებს, როგორც განსაზღვრულია მუხლში 14-a, მრჩეველთა კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ და დააგდენს, რომ მათი კანონქვემდებარე აქტები და მოქმედება შეესაბამება ICOMOS წესდებას, პროცედურულ წესებს და ეთიკის პრინციპებს. გამგეობას შეუძლია, მრჩეველთა კომიტეტთან კონსულტაციით, მოახდინოს ლიკვიდაცია საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებისა, რომელთა მუშაობა დასრულებულია ან რომელთა ორგანიზაცია ან საქმიანობა არ არის შესაბამისობაში, მათგან ახსნა-განმარტების წარდგენის მოთხოვნის შემდეგ;
  7. წამოიწიებს აპელაციის პროცედურას და იღებს გადაწყვეტილებას აპელაციების ვალიდობის თაობაზე წევრობის თხოვნაზე უარის, სანქციების ან წევრობის დაკარგვის შემთხვევაში;
  8. იღებს კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების პოლიტიკას, მუხლის 21 მიყენებით, წარუდგენს ანგარიშს ყოველწლიურად მრჩეველთა საბჭოს და სამ წელიწადში ერთხელ – გენერალურ ასამბლეას, ამ პოლიტიკის განხორციელებისა და კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების მდგომარეობის შესახებ ICOMOS-ში;
  9. ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს გენერალურ ასამბლეას ICOMOS ეთიკის პრინციპების შესრულების შესახებ;
  10. ამზადებს ასოციაციის პროცედურულ წესებს და გადასინჯავს მათ საჭიროების შემთხვევაში ;
  11. ადგენს გენერალური ასამბლეის, ასევე მრჩეველთა კომიტეტის და მისი სამეცნიერო საბჭოს შეხვედრების თარიღსა და ადგილს;
  12. სთავაზობს გენერალურ ასამბლეას მომდევნო წლის წლიური ბიუჯეტის პროექტს და ყოველ მესამე წელს, ICOMOS გენერალური პროგრამის პროექტს, მომდევნო სამწლედისთვის ბიუჯეტის სახელმძღვანელო პრინციპებს, აუდიტორის სახელს, წევრების და კეთილისმყოფელი წევრების საწევრო გადასახადებს;
  13. თუკი პრეზიდენტის, ხაზინადარის, გენერალური მდივნის ან ვიცე-პრეზიდენტის ადგილი განთავისუფლდა, გამგეობის წევრებიდნ ირჩევს პიროვნებას ამ თანამდებობაზე მომდევნო გენერალურ ასამბლეამდე;
  14. ამტკიცებს ხაზინადარის ანგარიშს და წლიურ ანგარიშს ასოციაციის საქმიანობის შესახებ;
  15. იღებს გენერალური მდივნის ანგარიშს და მოქმედებს მის მიხედვით;
  16. აფასებს საკუთარ საქმიანობას და მუშა პროცედურებს.

- e. წარმოებულ იქნება გამგეობის შეხვედრების ოქმები. ოქმებს ხელს მოაწერს პროეზიდენტი და გენერალური მდივანი და ისინი ხელმისაწვდომი იქნება წევრებისთვის.

### **მუხლი 11. გამგეობის ბიურო**

- a. ბიუროს შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტი, 5 ვიცე-პრეზიდენტი, ხაზინადარი და გენერალური მდივანი. ბიურო ანგარიშვალდებული იქნება გამგეობის წინაშე;
- b. ბიურო მოწვეულ იქნება პრეზიდენტის მიერ გამგეობის შეხვედრებს შორის პერიოდში. იგი ასევე შეიკრიბება თავისი 4 წევრის თხოვნით;
- c. უფლებამოსილი შეხვედრები მოითხოვს, სულ ცოტა, ბიუროს წევრთა ნახევრის დასწრებას. ბიუროს წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებში ტელეკონფერენციის გზით; ბიუროს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე და წარმოდგენილ წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, პრეზიდენტს ექნება გადამწყვეტი ხმა; ყოველ წევრს შეუძლია ჰქონდეს მხოლოდ 1 მინდობილობა;
- d. ბიურო ამზადებს გამგეობის შეხვედრებს, ზემოქმედებას ახდენს გამგეობის გადაწყვეტილებებზე და აგვარებს წევრობის საკითხებს წევრებისთვის იმ ქვეყნებიდან, სადაც ეროვნული კომიტეტი არ არსებობს.

გარდა მოვალეობებისა, რომელიც ნახსენებია მუხლებში 9, 10, 11, 12 და 16, ბიუროს წევრთა პასუხისმგებლობაშია შემდეგი:

- 1. ICOMOS პრეზიდენტი:
  - a. წარმოადგენს ასოციაციას ყველა საჯარო საქმეში;
  - b. სთავაზობს დღის წესრიგს გენერალურ ასამბლეის, გამგეობისა და ბიუროს შეხვედრებისთვის;
  - c. ყურადღებას აქცევს გენერალური ასამბლეის, გამგეობისა და ბიუროს გადაწყვეტილებების განხორციელებას;
  - d. თავმჯდომარეობს გამგეობისა და ბიუროს შეხვედრებს;
  - e. ამტკიცებს ხარჯებს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში;
  - f. აცნობებს ასოციაციის ადმინისტრირებისა ან მიმართულების ნებისმიერ ცვლილებას სამი თვის ვადაში დეპარტამენტის პრეფექტურას ან იმ რაიონის ქვე-პრეფექტურას, სადაც ასოციაციის შტაბ-ბინაა განლაგებული.

გამგეობის დასტურით, პრეზიდენტი:

- a. ნიშნავს საერთაშორისო სამდივნოს გენერალურ დირექტორს, რომელიც წარდგენილია გამგეობის მიერ;

- b. შეუძლია საკუთარი ხელმოწერისა და ძალაუფლების დელეგირება ნებისმიერი მიზნით ვიცე-პრეზიდენტების ან გენერალური დირექტორისთვის;
- c. შეუძლია წამოიწიოს სამართლებრივი ქმედება ასოციაციის სახელით. მხოლოდ სამართლებრივ საქმეებში პრეზიდენტს შეიძლება წარმოადგენდეს ადვოკატი, რომლის მანდატი დამტკიცებულ იქნება ბიუროს მიერ;

ყოფილი პრეზიდენტები მიიღებენ წოდებას “საპატიო პრეზიდენტი” და შეეძლებათ გამგეობის შეხვედრებზე დასწრება ხმის არ-მქონე მრჩევლის სახით.

2. ვიცე-პრეზიდენტი:

- a. ეხმარება და ცვლის პრეზიდენტს მისი არყოფნის დროს;
- b. ეხმარება პრეზიდენტს ICOMOS წარმომადგენლობაში და მისი მიზნებისა და საქმიანობის ხელის შეწყობაში მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით, საკუთარ რეგიონში.

3. ხაზინადარი:

- a. საერთაშორისო სამდივნოს დახმარებით, სთავაზობს გამგეობას ასოციაციის ქონებისა და რესურსების მართვის გზებს;
- b. ამოწმებს საერთაშორისო სამდივნოს მიერ ქვითრებისა და ხარჯების მართვას;
- c. წარუდგენს ფინანსურ ანგარიშებს, წლიური ანგარიშის პროექტს და მომდევნო სამწლედიანის ბიუჯეტის სახელმძღვანელო პრინციპების პროექტს გამგეობასა და გენერალურ ასამბლეას.

4. გენერალური მდივანი ამოწმებს შემდეგს და წარუდგენს გამგეობას წლიურ ანგარიშს შემდეგ საკითხებზე:

- a. წესდებისა და პროცედურული წესების შესრულება;
- b. წესდებით გათვალისწინებულ შეხვედრებზე მიწვევა;
- c. წესდებით გათვალისწინებულ ორგანოთა გადაწყვეტილებების განხორციელება;
- d. საერთაშორისო სამდივნოს მიერ წევრების, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების, ყოველი ეროვნული კომიტეტის ან, მისი არ-არსებობის შემთხვევაში, ყოველი ქვეყნის ხმის მიმცემი წევრების სიების განახლება;
- e. საერთაშორისო სამდივნოს მიერ წესდებით გათვალისწინებული შეხვედრების ოქმების გადატანა დანომრილ ფურცლებზე, სიცარიელებისა და წაშლების გარეშე და მათი შენახვა ასოციაციის შტაბ-ბინაში;
- f. საერთაშორისო სამდივნოს მიერ ასოციაციის არქივის წარმოება.

- e. იწარმოება ბიუროს სხდომების ოქმები. ოქმებს ხელს მოაწერს პრეზიდენტი და გენერალური მდივანი და ისინი ხელმისაწვდომი გახდება წევრებისთვის მოთხოვნისაგან.

## **მუხლი 12. მრჩეველთა კომიტეტი და მისი სამეცნიერო საბჭო**

- a. მრჩეველთა საბჭო იქნება ორპალატიანი ორგანო, სახელდობრ, ეროვნული კომიტეტების პრეზიდენტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების პრეზიდენტებისა; ეს უკანასკნელი ქმნიან სამეცნიერო საბჭოს. გამგეობის წევრებს ექნებათ დამკვირვებლის სტატუსი.
- b. მრჩეველთა კომიტეტი შეიკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც, ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეასთან დაკავშირებით. მას მოიწვევს პრეზიდენტი.

მრჩეველთა კომიტეტის პირველ შეკრებაზე, გენერალური ასამბლეის მიერ ჩატარებული, წესდებით გათვალისწინებული არჩევნების შემდეგ, როგორც ეროვნული კომიტეტების პრეზიდენტები, ისე სამეცნიერო საბჭო, თითოეული აირჩევს მაქსიმუმ 3 მუშაკს, ორჯერ განახლებადი სამ წლიანი სამსახურის ვადით, რომელნიც კოორდინაციას გაუწევენ მათი კომპონენტის მუშაობას. მუშაკი, რომელმაც სამი თანმიმდევრული ვადით იმსახურა, არ შეიძლება იყოს ხელახლა არჩეული სამ-წლიანი ვადის გასვლამდე.

ამ მუშაკებიდან მრჩეველთა კომიტეტი აირჩევს ჯერ პრეზიდენტს და შემდეგ ვიცე-პრეზიდენტს, ორივეს ორი სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთაგან ერთი იქნება ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი და მეორე – საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის პრეზიდენტი, ორჯერ განახლებადი სამ-წლიანი სამსახურის ვადით.

მრჩეველთა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი დახმარებას გაუწევს მრჩეველთა კომიტეტის პრეზიდენტს ან დაიკავებს მის ადგილს მისი არყოფნის შემთხვევაში.

მრჩეველთა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნას მრჩეველთა კომიტეტის პრეზიდენტად მომდევნო არჩევნებზე.

თუკი თანამდებობა ვაკანტური გახდება, შემცვლელი არჩეული იქნება სამსახურის დარჩენილი ვადით, იმავე პროცესის შესაბამისად.

ყველაზე გრძელი უწყვეტი ვადა მრჩეველთა კომიტეტში მუშაკად, პრეზიდენტად ან ვიცე-პრეზიდენტად, ან ამ თანამდებობების შეთავსებით სამსახურისა შეადგენს 9 წელს.

- c. მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაციები შემუშავებულ იქნება დამსწრე ან წარმოდგენილ წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, პრეზიდენტს ექნება უპირატესი ხმა.
- d. მრჩეველთა კომიტეტი წარუდგენს რჩევებს და წინადადებებს გენერალურ ასამბლეას და გამგეობას ICOMOS პოლიტიკისა და პროგრამის

პრიორიტეტების საკითხებზე. მრჩეველთა კომიტეტს შეუძლია დააფუძნოს ან შეკრიბოს ქვე-კომიტეტები, თუკი ჩათვლის ამას საჭიროდ საკუთარი (მრჩეველის) როლის შესასრულებლად. ყოველი ქვე-კომიტეტი და მისი მმართველი გუნდი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ სამართლიანად წარმოადგენდეს მსოფლიო სხვადასხვა რეგიონს, არსებული კომპეტენციის გათვალისწინებით.

მრჩეველთა კომიტეტს მუშაობაში დახმარებას გაუწევს სამეცნიერო საბჭო და, სხვათა გარდა, იგი:

1. ქმნის ფორუმს დისკუსიისა და ინფორმაციის გაცვლისთვის ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების პრეზიდენტებს შორის;
  2. განიხილავს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების ან ქვე-კომიტეტების წინადადებებს და გადასცემს მათ, საკუთარი რეკომენდაციების დართვით, გამგეობას;
  3. შეიმუშავებს რეკომენდაციებს მომდევნო სამწლედი ICOMOS გენერალური პროგრამისთვის;
  4. ითვალისწინებს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების საქმიანობას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს ქმედებისთვის, კერძოდ, საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების შექმნის ან ლიკვიდაციის თაობაზე;
  5. ცდილობს, უზრუნველყოს კომპეტენცია და დაბალანსებული წარმომადგენლობა სხვადასხვა სპეციალობებისა და მსოფლიო სხვადასხვა რეგიონების ICOMOS საქმიანობასა და საერთაშორისო ორგანოებში.
- e. ICOMOS მრჩეველთა კომიტეტის შეხვედრების ოქმებს ხელს მოაწერს მისი პრეზიდენტი და გენერალური მდივანი და ისინი ხელმისაწვდომი იქნება წევრებისთვის.

## **მუხლი 16. ეროვნული კომიტეტები**

- a. ეროვნული კომიტეტის დაფუძნება აკრედიტირებულ იქნება გამგეობის მიერ. ICOMOS ეროვნული კომიტეტი შეიძლება დაფუძნებულ იქნას ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც UNESCO წევრი-ქვეყანაა ან 1972 წლის მსოფლიო კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის წევრი-სახელმწიფოა, სათანადო ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ეროვნული კომიტეტი მოიცავს ICOMOS ყველა წევრს ქვეყნის შიგნით, როგორც განსაზღვრულია მუხლში 6-a. ეროვნულ კომიტეტს უნდა ჰყავდეს, სულ ცოტა 5 ინდივიდუალური წევრი. ეროვნული კომიტეტის წესდება და საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ICOMOS წესდებას, პროცედურულ წესებს და ეთიკის პრინციპებს.



- b. ICOMOS წევრობის თხოვნა უნდა გაგზავნილ იქნას მუხლის 5-ბ შესაბამისად, სათანადო ეროვნულ კომიტეტში ან, მისი არ-არსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო სამდივნოში ბიუროს მიერ დასამტკიცებლად. თუკი ეროვნული კომიტეტი ან ბიურო წევრობის თხოვნას უარით უპასუხებს, ადგილი ექნება ICOMOS გამგეობისადმი აპელაციის პროცედურას. ეროვნული კომიტეტი ან ბიურო წინასწარ გამოცხადებულ იქნება ახსნა-განმარტების მისაცემად.
- c. ეროვნულ კომიტეტებს შეკრებენ მათი პრეზიდენტები წელიწადში ერთხელ მაინც.
- d. ეროვნული კომიტეტები იმოქმედებენ, როგორც ფორუმი დისკუსიისა და გააზრებისთვის, რათა დააკავშირონ საჯარო ხელისუფლება, ინსტიტუციები, პროფესიონალები, ადგილობრივი ხელისუფლება და კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციით დაინტერესებული ინდივიდები და ხელი შეუწყონ ICOMOS მიზნებთან დაკავშირებულ საკითხებზე ეროვნული და საერთაშორისო ინფორმაციის გაცვლას.
- ამ მიზნით, სხვათა გარდა, ისინი:
1. შექმნიან და განახორციელებენ ეროვნულ პროგრამებს ICOMOS მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ადგილობრივ საჭიროებათა გათვალისწინებით;
  2. განახორციელებენ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებსა და ICOMOS გენერალურ პროგრამას და ითანამშრომლებენ საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებთან;
  3. საერთაშორისო სამდივნოს მიაწვდიან ყველა წევრის სახელებს და გადარიცხავენ მათ საწევრო გადასახადებს მუხლის 6-ბ შესაბამისად;
  4. ასახელებენ გენერალურ ასამბლეაზე საკუთარ ხმის მიმცემ წევრებს მუხლში 9-a განსაზღვრული რიცხობრივი ლიმიტის ფარგლებში და საკუთარი წესდებისა და პროცედურული წესების შესაბამისად და აცნობებენ მათ სახელებს არანაკლებ 1 თვით ადრე გენერალურ ასამბლეამდე. ყოველი ეროვნული კომიტეტის ხმის მიმცემ წევრთა უმრავლესობა ინდივიდუალური წევრები იქნებიან. ინტიტუციონალურ წევრთა წარმომადგენლები რწმუნებულებას მიიღებენ საკუთარი ინსტიტუციიდან;
  5. ამტკიცებენ საკუთარ წლიური აქტივობის ანგარიშს, რომელიც მათ უნდა გადაუგზავნონ საერთაშორისო სამდივნოს.
- e. როდესაც ეროვნული კომიტეტის დაფუძნება გართულებულია, შეიძლება დაფუძნდეს ტრანსნაციონალური კომიტეტები, რომელთა შემადგენლობაში იქნებიან შესაბამისი ქვეყნების ICOMOS წევრები.
- ისინი აკრედიტირებულ იქნება გამგეობის მიერ, როგორც ექვივალენტი ეროვნული კომიტეტებისა, სათანადო ღონისძიებებით, მათი კონკრეტული

ვითარების გათვალისწინებით. ეს არ გამორიცხავს მოგვიანებით ეროვნული კომიტეტის დაფუძნებას ერთ ან მეტ შესაბამის ქვეყანაში.

#### **მუხლი 14. საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტები**

- a. გამგეობა დააფუძნებს და დაშლის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებს მრჩეველთა კომიტეტთან კონსულტაციით. მათი მოქმედების სფერო უნდა იყოს დაკავშირებული ICOMOS მიზნების მიღწევასთან კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მათ კონკრეტულ დარგში.  
საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების კანონქვემდებარე აქტები უნდა შეესაბამებოდეს ICOMOS წესდებას, პროცედურულ წესებს და ეთიკის პრინციპებს.  
საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტები და მათი მმართველი გუნდები უნდა დაბალანსებულად წარმოადგენდნენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს, არსებული კომპეტენციის გათვალისწინებით.
- b. წევრობის თხოვნა უნდა გაეგზავნოს შესაბამის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტს, ასლით ინფორმაციისთვის ეროვნული კომიტეტისთვის ან, მისი არ-არსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო სამდივნოს.  
თუკი საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი უარით უპასუხებს წევრობის თხოვნას, ადგილი ექნება ICOMOS გამგეობისადმი აპელაციის პროცედურას.  
საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებისა და მათი ბიუროს წევრთა თავდაპირველი სია დამტკიცებულ იქნება გამგეობის მიერ, მრჩეველთა კომიტეტის თხოვნით.
- c. ICOMOS საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებს შეკრებენ მათი პრეზიდენტები წელიწადში ერთხელ მაინც.
- d. საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტები იმოქმედებენ როგორც ICOMOS სამეცნიერო და ტექნიკური ორგანოები. ამ მიზნით, ისინი:
  1. შექმნიან და განახორციელებენ პროგრამებს საკუთარი კომპეტენციის სფეროში, როგორც საკუთარ წვლილს ICOMOS გენერალურ პროგრამაში;
  2. განახორციელებენ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს და ICOMOS გენერალურ პროგრამას საკუთარი კომპეტენციის სფეროში და ითანამშრომლებენ ეროვნულ კომიტეტებთან;
  3. საერთაშორისო სამდივნოს და შესაბამის ეროვნულ კომიტეტებს მიაწვდიან საკუთარ წევრთა სახელებს;
  4. მრჩეველთა კომიტეტის შუალობით გადასცემენ საკუთარ კანონქვემდებარე აქტებს გამგეობას დასამტკიცებლად;
  5. წლიური აქტივობის ანგარიშსა და მომდევნო წლის სამოქმედო პროგრამას გაუგზავნიან საერთაშორისო სამდივნოს მრჩეველთა კომიტეტისთვის განსახილველად და გამგეობისთვის დასამტკიცებლად.

საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებმა შეიძლება შექმნან მუშა ჯგუფები, როგორც ქვე-კომიტეტები ან კომისიები. მათ მიესადაგება იგივე დებულებები.

- e. საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების შეხვედრების ოქმებს ხელს მოაწერს მათი პრეზიდენტი და ისინი დაარქივდება საერთაშორისო სამდივნოს მიერ.

### **მუხლი 15. თანამდებობათა უსასყიდლო ბუნება**

გამგეობისა და მისი ბიუროს წევრები, მრჩეველთა კომიტეტისა და მისი სამეცნიერო საბჭოს წევრები, ასევე ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების მუშაკნი არ შეიძლება იღებდნენ გასამრჯელოს თანამდებობისთვის, რომელიც მათ უკავიათ ICOMOS-ში. ნებადართულია მხოლოდ მათი ფუნქციების შესრულებისას გარდაუვალი ხარჯების ანაზღაურება; ეს წინასწარ უნდა იყოს დამტკიცებული ბიუროს მიერ, დაინტერესებულ მხარეთა დაუსწრებლად. გადახდის საფუძველი უნდა იყოს დამდასტურებელი დოკუმენტაცია (ქვითრები). ყველა ეს ხარჯები გაივლის აუდიტორულ შემოწმებას.

### **მუხლი 16. საერთაშორისო სამდივნო**

- a. საერთაშორისო სამდივნო იქნება ორგანო, რომლის პასუხისმგებლობაშია ICOMOS ყოველდღიური მუშაობა. მის შემადგენლობაში იქნება ანაზღაურებადი შტატი და მოხალისეები.
- b. საერთაშორისო სამდივნოს მთელი საქმიანობა წარიმართება მისი გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება გამგეობისა და მისი ბიუროს წინაშე საკუთარი ქმედებებისა და საერთაშორისო სამდივნოს საქმიანობისთვის.
- c. სხვათა გარდა, საერთაშორისო სამდივნო:
  - 1. განახორციელებს გენერალური ასამბლეის, გამგეობისა და მისი ბიუროს გადაწყვეტილებებს;
  - 2. კოორდინაციას გაუწევს და განახორციელებს ICOMOS გენერალურ პროგრამას და სამწოდისთვის ბიუჯეტის სახელმძღვანელო პრინციპებს, გენერალური ასამბლეის მიერ ხმამაღლა აღიარებულ წლიურ ბიუჯეტს და გამგეობის გადაწყვეტილებებს;
  - 3. საერთაშორისო დონეზე მართავს წევრობისა და საწევრო გადასახადების საკითხებს;
  - 4. გაახლებს წევრების, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების სიებს და ყოველი ეროვნული კომიტეტის ან, მისი არ-არსებობის შემთხვევაში, ყოველი ქვეყნის ხმის მიმცემი წევრების სიებს;
  - 5. აბინავებს ქვითრებს და სწევს დანახარჯებს გამგეობის მიერ დამტკიცებული დელეგირების ფარგლებში;

6. უწევს სამსახურს საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტებს და დახმარებას – ეროვნულ კომიტეტებს;
7. მთელ საჭირო ინფორმაციას აწვდის და დახმარებას უწევს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს, ხაზინადარს და გენერალურ მდივანს, მათი შესაბამისი მოვალეობების აღსრულებასთან დაკავშირებით;
8. ამზადებს დოკუმენტებს წესდებით გათვალისწინებული შეხვედრებისთვის და მათ ოქმებს და სრულ დახმარებას უწევს ICOMOS წესდებით გათვალისწინებულ ორგანოებს ამ შეხვედრების დროს;
9. ქმნის ასოციაციის საქმიანობის წლიური ანგარიშის პროექტს, რომელიც შეიცავს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების ანგარიშებს და წლიურ ანგარიშსწორებას და ავრცელებს მათ წევრებს შორის;
10. ამზადებს წინასწარულ პროექტებს ICOMOS გენერალური პროგრამისთვის და მომდევნო სამწლედის ბიუჯეტის სახელმძღვანელო პრინციპებისთვის, მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაციებისა და წლიური ბიუჯეტის წინასწარული პროექტების საფუძველზე;
11. მართავს ასოციაციის არქივს.

### **მუხლი 17. დამკვირვებლები**

UNESCO, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრს (ICCROM, Rome), ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც იზიარებენ ICOMOS მიზნებს, შეიძლება გაეგზავნოთ შეთავაზება, გააგზავნონ საკუთარი დამკვირვებლები ICOMOS ყველა შეხვედრაზე.

## **V რესურსები**

### **მუხლი 18. რესურსები**

ICOMOS რესურსები მიღებულ იქნება:

- საწევრო გადასახადებიდან;
- საჩუქრებიდან;
- გრანტებიდან;
- გაყიდვებისა და მომსახურების ანაზღაურებიდან;
- ღონისძიებებიდან შემოსული თანხებიდან;
- წილებიდან;
- შემოსავლების სხვა წყაროებიდან, რომელიც დამტკიცებულია ბიუროს მიერ, რომელიც გადასცემს მათ გამგეობას რატიფიცირებისთვის.

### **მუხლი 19. ანგარიშსწორება**

ანგარიშსწორების სისტემა დაეფუძნება კალენდარულ წელს და გაითვალისწინებს შემოსავლის ანგარიშს, საბალანსო ანგარიშს და დანართს, რომელიც შეესაბამება შესაფერისი ანგარიშსწორების პრინციპების შესატყვის ფორმატს. ფონდები სპეციალური პროგრამებისა და ყველა საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტისთვის ცალ-ცალკე იქნება მინიშნებული მასში. წარდგენილ იქნება ყველა მოპოვებული გრანტიდან ფონდების გამოყენების დასაბუთება.

## **VI სხვადასხვა დებულებები**

### **მუხლი 20. ლეგალური სტატუსი**

გამგეობა უფლებამოსილი იქნება მიიღოს სათანადო ზომები, რათა მინიჭებულ იქნას ლეგალური სტატუსი ICOMOS-თვის იმ ქვეყნებში, სადაც იგი აწარმოებს საქმიანობას.

### **მუხლი 21. ენები**

- a. ICOMOS პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებასა და მრავალენოვნებას, რათა უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა და გავრცელება პროფესიული არსისა და გააადვილოს კომუნიკაცია თავის წევრებს შორის.
- b. ICOMOS ეთიკის პრინციპები, ICOMOS და მისი საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების დოქტრინალური დოკუმენტები ითარგმნება, მინიმუმ, ინგლისურად, ფრანგულად და ესპანურად.  
მუშა ენები იქნება ინგლისური და ფრანგული. თუმცა, მრავალენოვნების წასახალისებლად, ესპანური ან სხვა ენები, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებისა, რომელიც უმასპინძლებს საერთაშორისო შეხვედრებს, შეიძლება იქნას გამოყენებული იმ პირობების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია პროცედურულ წესებში.
- c. ICOMOS არის ასოციაცია რეგისტრირებული ფრანგული კანონმდებლობით, ფრანგული იქნება ოფიციალური ენა წესდებისა და სხვა ადმინისტრაციული და სმართლებრივი დოკუმენტებისთვის; წესდების და სხვა ოფიციალური დოკუმენტების ფრანგული ვერსიას ექნება უპირატესობა, იმ შემთხვევაში, თუკი ტექსტებს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობა აღმოჩნდა და იქნება უპირველესი წყარო ახალი თარგმანებისთვის.

### **მუხლი 22. პროცედურული წესები**

პროცედურული წესები განსაზღვრავს და უზრუნველყოფს პროცედურებს ამ წესდების დებულებების ასამოქმედებლად და სამოქმედო პროცედურებს ICOMOS საერთაშორისო ორგანიზაციისთვის. მათში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები გენერალური ასამბლეის მიერ, წესდებით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანოს

ან ეროვნული კომიტეტების მესამედის თხოვნით, თითოეული წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა 2 ხმის მიმცემი წევრით.

პროცედურული წესების პროექტი ან ნებისმიერი წინადადება მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე უნდა დაეგზავნოს წევრებს მუშა ენებზე, გენერალური ასამბლეის გახსნამდე 4 თვით ადრე მაინც.

## **VII წესდების ცვლილება და ლიკვიდაცია**

### **მუხლი 23. წესდების ცვლილება**

წესდებაში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნას საგანგებო გენერალური ასამბლეის მიერ, რომელიც მოწვეულ იქნება ამ კონკრეტული მიზნით, გამგეობის, მრჩეველთა კომიტეტის ან ეროვნული კომიტეტების მესამედის თხოვნით, თითოეული უნდა წარმოდგენილი იყოს სულ ცოტა 3 ხმის მიმცემი წევრით.

დღის წესრიგი შეთავაზებული ცვლილებებით უნდა დაეგზავნოს წევრებს მუშა ენებზე, საგანგებო გენერალური ასამბლეის გახსნამდე 4 თვით ადრე მაინც.

საგანგებო გენერალური ასამბლეის უფლებამოსილი შესხედრები მოითხოვს ქვორუმს ხმის მიმცემი წევრების მეოთხედისა მაინც, რომელნიც დანიშნულნი არიან მუხლების 9-a და 13-d-4 შესაბამისად და წარმოადგენენ ეროვნული კომიტეტების მესამედს მაინც. თუ ქვორუმი არ იქნება მიღწეული, საგანგებო გენერალური ასამბლეა მოწვეულ იქნება კვლავ იგივე დღის წესრიგით, სულ ცოტა 24 საათის შემდეგ და მისი მოსაზრებანი ვალიდური იქნება, დამსწრე ან წარმოდგენილ ხმის მიმცემ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

საგანგებო გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებები მიღებულ იქნება ორი მესამედის უმრავლესობით დამსწრე ან წარმოდგენილი ხმის მიმცემი წევრებისა, რომელნიც წარმოადგენენ ეროვნული კომიტეტების მესამედს მაინც.

### **მუხლი 24. ლიკვიდაცია**

- a. საგანგებო გენერალური ასამბლეა, შეკრებილი ლიკვიდაციის განსახილველად, მოწვეულ იქნება ამ კონკრეტული მიზნით იმავე პირობებით, რაც განსაზღვრულია წინა მუხლში, ქვორუმთან მიმართების გარდა.

თუ ქვორული არ იქნა მიღწეული, საგანგებო გენერალური ასამბლეა მოწვეულ იქნება კვლავ, სულ ცოტა 15 დღის ინტერვალით და მისი მოსაზრებანი ვალიდური იქნება, დამსწრე ან წარმოდგენილ ხმის მიმცემ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

გადაწყვეტილება ლიკვიდაციის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ორი მესამედის უმრავლესობით დამსწრე ან წარმოდგენილი ხმის მიმცემი წევრებისა, რომელნიც წარმოადგენენ ეროვნული კომიტეტების მესამედს მაინც.

- b. ლიკვიდაციის შემთხვევაში, საგანგებო გენერალური ასამბლეა დანიშნავს 1 ან მეტ საგანგებო რწმუნებულს, ასოციაციის ქონების ლიკვიდაციისთვის.

იგი მიაკუთვნებს ნეტო აქტივებს ერთ ან მეტ მსგავს ორგანიზაციას, რომელიც საზოგადოებრივია ან დეკლარირებულია საზოგადოებრივი ინტერესისად ან ინსტიტუციებს, რომელიც მოსხენიებულია 1901 წლის 1 ივლისის კანონის მუხლში 6, პარაგრაფში 2, როგორც შეცვლილი. იგი შეატყობინებს UNESCO-ს.

## **VIII ძალაში შესვლა**

### **მუხლი 25. ძალაში შესვლა**

წინამდებარე წესდება მირებულ იქნა ICOMOS დამფუძნებელი ასამბლეის მიერ 1965 წლის 22 ივნისს ვარშავაში (პოლონეთი) და მასში ცვლილებები იქნა შეტანილი V გენერალური ასამბლეის მიერ მოსკოვში (სსრკ) 1978 წლის 22 მაისს და XVIII გენერალური ასამბლეის მიერ 2014 წლის 12 ნოემბერს ფლორენციაში (იტალია).

შეცვლილი წესდება, მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ ფლორენციაში, ძალაში შევა 2015 წლის 1 იანვარს.